სააპელაციო საჩივარი
ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

აპელანტი: შენიშვნა-1

ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"	204952676	თბილისი. ფალიაშვილის ქ.№27/29, მე-2 სართული, ბინა 13
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) შენიშვნა-2

ალტერნატიული მისამართი შენიშვნა-3	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

	292773			greenalt@greenalt.org
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

აპელანტის წარმომადგენელი: შენიშვნა-4

ნინო გუჯარაიძე	01015010047	თბილისი. ფალიაშვილის ქ.№27/29, მე-2 სართული, ბინა 13
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

		599902520		ngujaraidze@greenalt.org
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოწინააღმდეგე მხარე: შენიშვნა-5

საქართველოს მთავრობა		თბილისი. ინგოროყვას ქ.№7
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) შენიშვნა-6

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: შენიშვნა-7

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-8

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 27-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

	სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი შენიშვნა-9

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-10

გასაჩივრებული გადაწყვეტილება

შენიშვნა-11

სასამართლოს დასახელება:	თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
განმხილველი მოსამართლე:	ნინო ბუაჩიძე
საქმის ნომერი:	3/4914-14.
მიღების თარიღი:	2015 წლის 19 ოქტომბერი

გადაწყვეტილებას ვასაჩივრებ:		
სრულად	☒	
ნაწილობრივ	☐	
რომელ ნაწილში?		

შენიშვნა-12

სააპელაციო მოთხოვნა:

გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდება სრულად.

შენიშვნა-13

1. ფაქტობრივი უსწორობა

სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების 3.1 მუხლით დადგენილად მიიჩნია, რომ ჰიდროელექტროსადგურ "დარიალ ჰესის" მშენებლობისათვის განკუთვნილი ფართობი ნაწილობრივ ჯდებოდა დაცულ ტერიტორიებში (აზომვითი ნახაზი №1, №2, №3) რის გამოც სს "დარიალი ენერჯი" ითხოვდა აღნიშნული ნაკვეთების სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის უფლებით გადაცემას და რომ მითითებულ ნაკვეთებზე სს "დარიალი ენერჯი"-ს განმარტებით არ იყო გათვალისწინებული რაიმე სახის ხე-ტყის მოჭრა და არ აღინიშნებოდა წითელი ნუსხით დაცულ მერქნიან მცენარეთა სახეობების არსებობა. სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების 3.3. მუხლით ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ საპროექტო ტერიტორია მდებარეობდა ეროვნული პარკის მე-6 კვარტლის მე-18 ლიტერში, ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონის ფარგლებში. თუმცა სასამართლოს მიერ არ იქნა დადგენილი, ეროვნული პარკის მე-6 კვარტლის მე-18 ლიტერი შედიოდა თუ არა სახელმწიფო ტყის ფონდში. ამასთან დაკავშირებით საქმეში არ არის წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება და არც მოპასუხე მხარეს ჰქონია რაიმე არგუმენტი. სსიპ დაცული ტერიტორიის სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის მიხედვით, დაცული ტერიტორიების 25% არის ტყით დაუფარავი ტერიტორია. სასამართლო განხილვისას დადასტურდა, რომ სადავო ტერიტორიაზე ხე-მცენარეები საერთოდ არ გვხვდება, შესაბამისად ჰიდროელექტოსადგურის ინფრასტუქტურის მოწყობა, სადერივაციო არხის გაყვანა არ მოითხოვდა ხე-ტყის ჭრას. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაუგებარია და გასაჩივრებული გადაწყვეტილებიდან საერთოდ არ ირკვევა, რის საფუძველზე მიაკუთვნა სასამართლომ აღნიშნული მიწის ფართობი სახელმწიფო ტყის ფონდს და შესაძლებელი იყო თუ არა ამ ტერიტორიის მიმართ საქართველოს ტყის კოდექსის 33-ე მუხლის გამოყენება.

საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურებულია და საქმის სასამართლო განხილვისას მოსარჩელის მიერ არაერთხელ ხაზგასმით გაჟღერდა, რომ საქართველოს კანონში „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ შეტანილი იქნა ცვლილება (13.03.2012. N 5789), რომლის თანახმადაც ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიიდან ამოირიცხა 20.3633 ჰა, მათ შორის სადავო ადმინისტრაციული აქტის თანახმად სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გამოყოფილი 8.77737 ჰა ფართობი. ამის შემდეგ სს „დარიალენერჯიმ“ გააგრძელა ამ ტერიტორიით სარგებლობა. თუ სადავო ტერიტორია ნამდვილად წარმოადგენდა სახელმწიფო ტყის ფონდს, მაშინ მისი დაცული ტერიტორიიდან ამორიცხვის შემთხვევაში, ის გახდებოდა სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდი, ხოლო სახელმწიფო დაცული ტერიტორიების ტყის ფონდიდან სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდში გადასული 20.3633 ჰა ფართობი სპეციალური დანიშნულების სარგებლობის ფორმით უნდა გადასცემოდა კომპანიას. მსგავს ქმედებას ადგილი არ ჰქონია, საქმეში არ არის წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება, რაც ადასტურებს, რომ სადავო ტერიტორია არასოდეს ყოფილა სახელმწიფო ტყის ფონდის ნაწილი და არ შეიძლებოდა მის მიმართ საქართველოს ტყის კოდექსის 33-ე მუხლის გამოყენება.

ამდენად, სასამართლომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოება არასწორად და არასრულად დაადგინა, რის გამოც მიგვაჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე და ექვემდებარება ბათილად ცნობას.

მტკიცებულება:
ა.

2. ფაქტობრივი უსწორობა
სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების 3.1. მუხლით დადგენილად მიიჩნია, რომ სს "დარიალენერჯიმ" 2010 წლის 10 ნოემბერს წერილით მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნერივი რესურსების სამინისტროს, სადაც ითხოვდა ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიიდან გარკვეული ფართობის გადაცემას. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ ანგარიშში აღნიშნულია, რომ პროექტი მოიცავს დაცული ტერიტორიის 2.64 ჰა-ს. გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გამოყოფილი იქნა 8.77737 ჰა. გაუგებარია და გასაჩივრებული გადაწყვეტილებიდან საერთოდ არ ირკვევა, ზემოაღნიშნულ ორ აქტში რატომ არის ჰესის საპროექტო არეალით მოცული ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიებს შორის ასეთი სხვაობა. სასამართლომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოება არასწორად და არასრულად დაადგინა, რის გამოც მიგვაჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებით მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე და ექვემდებარება ბათილად ცნობას.

მტკიცებულება:
3. სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების 3.6. მუხლით საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის დასკვნის თანახმად დადგენილად მიიჩნია რომ, ვინაიდან წარმოდგენილი წერილისა და პროექტის მიხედვით არ იგეგმებოდა დაცულ ტერიტორიაზე რაიმე სახის ჭრების განხორციელება, დამატებით გასააზრებელი იყო აღნიშნული საკითხის მთავრობის მიერ დარეგულირების მიზანშეწონილობა (ს.ფ. 49-50). აღნიშნულ დასკვნაში საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტი მიუთითებს მთავრობის განკარგულების პროექტის შეუსაბამობაზე კანონმდებლობასთან, კერძოდ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილების 27'2 მუხლთან. ადმინისტრაციული წარმოების პროცედურების ჩატარებისას საქმის გარემოებათა სწორი გამოკვლევა და შესაბამისი კვალიფიკაცია უშუალო კავშირშია მმართველობის კანონიერებასთან, რომელიც განსახილველ შემთხვევაში საქართველოს მთავრობამ განახორციელა კანონსაწინააღმდეგოდ და რაც ზემოაღნიშნული მტკიცებულების საერთოდ უგულვებელყოფაში გამოიხატა.

ახალი ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-16 შენიშვნა-17 შენიშვნა-18.

1. ახალი ფაქტობრივი გარემოება

მიუთითებლობის საპატიო მიზეზი

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

შენიშვნა-19

მონიშნეთ, თუკი არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ერთი ან რამდენიმე ქვემოთ მოცემული აბსოლუტური საფუძველი:	
☐	საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ;
☐	სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით;
☐	სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას;
☐	გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება;
☐	გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები;
☒	გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული;
☒	გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;
☐	გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი;
☐	გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, ვინც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ;
☐	საქმეში არ არის პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმი.

დასაბუთება: გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვით, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას . . . ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. აღნიშნული საერთაშორისო აქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პროცესის მონაწილეებისათვის, ისევე როგორც საზოგადოებისათვის, ნათელი უნდა იყოს განსჯის ის პროცესი, რომელიც სასამართლომ გაიარა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე. გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს სასამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რომლებმაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია. სასამართლო დაცვის უფლების განხორციელება უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ყველას შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფას. იგივე უფლებები გამყარებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით, რომელიც თავისი შინაარსით გუსლიხმობს არა მხოლოდ უფლების დასაცავად სასამართლოსათვის მიმართვის გარანტიას, არამედ სამართლიანი, გამჭვირვალე სასამართლოს უფლებას, სადაც სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა ეყრდნობოდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილი არგუმენტებისა და მტკიცებულებების ამომწურავად შეფასებას. იმის გათვალისწინებით, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება სრულიად დაუსაბუთებელია, დაფუძნებულია ისეთ მტკიცებულებებზე, რომლებიც არც ერთი მხარის მიერ საქმეზე არ წარმოდგენილა და არც სასამართლოს მიერ არ ყოფილა მოპოვებული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით მიგვაჩნია, რომ სასამართლომ უხეშად დაარღვია აღნიშნული საერთაშორისო აქტის მითითებული ნორმის

მოთხოვნები, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი უსწორობები

შენიშვნა-20 შენიშვნა-21

1. სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის "ა", "ბ", "გ" და 394-ე მუხლის "ე" და "ე" პრიმა ქვეპუნქტების მოთხოვნები. კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, გადაწყვეტილება იურიდიულად საკმარისად არ არის დასაბუთებული, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

2. სასამართლომ დაარღვია სსსკ-ის 249-ე მუხლი, რომლის თანახმად გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა. მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაცია შემოფარგლულია საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმების აღწერით, ისე რომ მასში ასახული არ არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილში მითითებული სამართლებრივი შეფასებები, აქედან გამომდინარე, გაუგებარია გადაწყვეტილებაში მითითებული ნორმების აღწერის მიზანი და დანიშნულება. ნორმების გულმოდგინედ გადმოწერა არამცდაარამც არ ნიშნავს ამ ნორმების გამოყენებას, მით უფრო კონკრეტული სადავო შემთხვევის სამართლებრივ შეფასებასა და ანალიზს.

3. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები, 105-ე მუხლის მეორე ნაწილი, ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და არ შეაფასა საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები, მითითებული საპროცესო დარღვევების გამო ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასებითა და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორი გამოყენების შედეგად საქმეზე გამოტანილია არასწორი და უკანონო გადაწყვეტილება. სასამართლომ არ შეამოწმა და არ შეაფასა სარჩელსა და ახსნა-განმარტებაში წარმოდგენილი საფუძვლიანი პრეტენზიები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, სწორად არ შეაფასა სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები, სასამართლოს მიერ საერთოდ იგნორირებულია მტკიცებულებების გამოკვლევის სტადიაზე მოსარჩელის წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილი საფუძვლიანი მოსაზრებები საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც ცალსახად ადასტურებს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონსაწინააღმდეგობას (იხ. სხდომის ოქმები).

4. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლი („ეროვნული პარკი"), რომლის თანახმად დაუშვებელია ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. ამავე კანონის 5.1 მუხლი, რომლის თანახმად

„ეროვნული პარკი იქმნება ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის, შედარებით დიდი და ბუნებრივი მშვენიერებით გამორჩეული ეკოსისტემების დასაცავად სასიცოცხლო და რეკრეაციული საქმიანობისათვის“ და 5.3 მუხლი, რომლის თანახმად იმპერატიულად არის განსაზღვრული თუ რა ზონები შეიძლება მოეწყოს ეროვნულ პარკში, რა მიზნით ეწყობა თითოეული მათგანი და რომ ეროვნულ პარკში მოსაწყობი არც ერთი ზონა არ ითვალისწინებს ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას და არც აღნიშნული მიწის ფართობის სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობაში გამოყოფას.ამდენად, წარმოდგენილი საქმიანობა - ჰესის მშენებლობა და ფუნქციონირება, შეუთავსებელია ამ მუხლით განსაზღვრული საქმიანობისათვის.

5. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად, „ტრადიციული გამოყენების ზონა ეწყობა ბუნების დაცვის და განახლებადი ბუნებრივი რესურსების ტრადიციულ გამოყენებასათან დაკავშირებული სამეურნეო საქმიანობისათვის. ზონაში დაიშვება ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებით და ბუნებრივი პროდუქტიულობით ლიმიტირებული თიბვა, ძოვება, საშეშე მერქნის მოპოვება და სხვა დაუშვებელია ხვნა-თესვა და სასოფლო-სამეურნეო ნაგებობების განთავსება.“ ამდენად, წარმოდგენილი საქმიანობა - ჰესის მშენებლობა და ფუნქციონირება, შეუთავსებელია საქართველოს კანონმდებლობით ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში დაშვებულ საქმიანობებთან.

6. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის (საქმიანობა დაცულ ტერიტორიებზე) მე-4 პუნქტი, რომლის თანახმად, დაცული ტერიტორიის შიგნით იკრძალება ა) ბუნებრივი ეკოსისტემების რღვევა და სხვა სახის შეცვლა; ექსპლუატაციის ან სხვა მიზნით რომელიმე ბუნებრივი რესურსის განადგურება (ამოწყვეტა), ამოღება (დატყვევება), რღვევა, დაზიანება (დახეიბრება), შეშფოთება; დაცული ტერიტორიის ინდივიდუალური დებულებითა და მენეჯმენტის გეგმით დაუშვებელი საქმიანობა.

ამდენად, წარმოდგენილი საქმიანობა ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნული ნორმის დანაწესს, რის გამოც გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონსაწინააღმდეგოა და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი თანახმად სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლისა.

7. სასამართლომ არასწორად გამოიყენა კანონი - საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242-ე დადგენილება და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - საქართველოს ტყის კოდექსის 33.2 მუხლი. კერძოდ: მითითებული დადგენილების 27.2 მუხლის 1-ლი პუნქტის, ასევე საქართველოს ტყის კოდექსის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის უფლების მინიჭებისა და ამ ტერიტორიაზე სპეციალური ჭრების განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება ხდება იმ დაცულ ტერიტორიებზე, სადაც დაშვებულია სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური მიზნით სარგებლობა. „საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ კანონის“ თანახმად, ეროვნული პარკი და მათ შორის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონა არ განეკუთვნება ისეთ დაცულ ტერიტორიას, სადაც დასაშვები იქნებოდა სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობა. საქართველოს მთავრობის დასახელებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის გამოყენებას გამორიცხავს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 7.7 მუხლი, რომლის თანახმადაც საქართველოს საკანონმდებლო აქტებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა

საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართ და რომელიც განსახილველი დავის გადაწყვეტისას სასამართლომ არ გამოიყენა.
8. საქართველოს ტყის კოდექსის 33-ე მუხლის (მუხლი 33. სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობა) მე-2 პუნქტის მიხედვით, სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის უფლებას სახელმწიფო ტყის ფონდში ანიჭებს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, ხოლო დაცულ ტერიტორიებზე იქ, სადაც დაშვებულია სპეციალური მიზნით ტყითსარგებლობა, საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო დაინტერესებულ პირებთან შეთანხმებით, საქართველოს კანონმდებლობისა და ამ კოდექსის 31-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „გადაწყვეტილებას ამ კოდექსის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილითა და 69-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახელმწიფო ტყის ფონდის სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისათვის გაცემისა და ამ ტერიტორიაზე სპეციალური ჭრების განხორციელების თაობაზე იღებს საქართველოს მთავრობა ამავე კოდექსის 31-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით“. (საქართველოს ტყის კოდექსი ციტირებულია გასაჩივრებული აქტის გამოცემისათვის მოქმედი რედაქციის მიხედვით).

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს 242 დადგენილების 27'2 მუხლი (სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის უფლების მინიჭება) აზუსტებს ტყის კოდექსის ზემოხსენებულ ნორმებს. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის უფლების მინიჭებისა და ამ ტერიტორიაზე სპეციალური ჭრების განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილებას მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით, სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე იღებს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, ხოლო დაცულ ტერიტორიებზე – იქ, სადაც დაშვებულია სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური მიზნით სარგებლობა, – საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო, გარდა საქართველოს ტყის კოდექსის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილითა და 69-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „საქართველოს ტყის კოდექსის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილითა და 69-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახელმწიფო ტყის ფონდის სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისათვის გაცემისა და ამ ტერიტორიაზე სპეციალური ჭრების განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა.“ (საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს 242 დადგენილება ციტირებულია გასაჩივრებული აქტის გამოცემისათვის მოქმედი რედაქციის მიხედვით).
ტყის კოდექსის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილით და ტყის კოდექსის 69-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში, რომლის დროსაც სპეციალური სარგებლობის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მთავრობამ და არა სამინისტრომ, მოიაზრება 35 გრადუსისა და მეტი დაქანების ფერდობებზე ხე-ტყის დამზადება მხოლოდ განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობისას. აქედან გამომდინარე, რადგან დარიალჰესის მშენებლობის მიზნით „დარიალენერჯისთვის“ ტერიტორიის სპეციალური სარგებლობით გადაცემა არ გულისხმობდა ხე-ტყის დამზადებას (მით უმეტეს 35 გრადუსისა და მეტი დაქანების ფერდობებზე) მთავრობა არ იყო უფლებამოსილი მიეღო ეს განკარგულება.

ამრიგად, სასამართლომ სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და შეაფასა საქმეზე დართული მტკიცებულებები. ასევე არასწორად გამოიყენა კანონი - საქართველოს ტყის კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმები.

9. საქართველოს ტყის კოდექსის 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, აუცილებლობის შემთხვევაში ან მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობა შეიძლება საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. სასამართლომ არასწორად გამოიყენა დასახელებული კოდექსის ეს მუხლი, ვინაიდან ეროვნული პარკის ტერიტორიაზე აღნიშნული საქმიანობის განხორციელება ეწინააღმდეგება საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნებს, კერძოდ: „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ 5.1, 5.3, 20.4 მუხლები, „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე, 46.2, 53.1 მუხლები და სხვ.

10. სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი - საქართველოს ტყის კოდექსის მე-14 მუხლის „ა“ პუნქტი, რომლის თანახმად სახელმწიფო ტყის ფონდი ინსტიტუციური მართვის მიხედვით იყოფა სახელმწიფო ტყის ფონდის დაცულ ტერიტორიებად, რომლებიც მოიცავს სახელმწიფო ტყის ფონდის ფარგლებში არსებულ და ”დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულ ტერიტორიებს. აღნიშნულზე დაყრდნობით სასამართლომ არასწორად დაასკვნა, რომ ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში შესაძლებელი იყო სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობა და ეს არ ეწინააღმდეგება დაცული ტერიტორიების შესახებ კანონმდებლობას. ამავე ლოგიკის მიხედვით, სპეციალური დანიშნულებით სარგებლობა (მაგალითად, ნებისმიერი ტიპის მშენებლობა, წიაღის მოპოვება, ტყის ჭრა) ასევე შესაძლებელი იქნება არა მხოლოდ ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში, არამედ ისეთ მკაცრად დაცულ ტერიტორიებზეც, როგორიცაა მაგალითად ლაგოდეხის ნაკრძალი, ბორჯომის ნაკრძალი, ბაწარა-ბაბანეურის ნაკრძალი, ეროვნული პარკების მკაცრი დაცვის ზონები და სხვ. ვინაიდან ეს ტერიტორიები შედიან სახელმწიფო ტყის ფონდში. სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ამკვიდრებს ძალიან სახიფათო პრეცენდენტს, რომლის შედეგადაც პრაქტიკულად უქმდება საქართველოში დაცული ტერიტორიების სისტემა და ის უთანაბრდება სამეურნეო ტყის ფონდს.

მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-22

მოწმე	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი
ექსპერტი	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი
სპეციალისტი	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი

შენიშვნა-23

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, ახალ მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობის თაობაზე.
1.

შენიშვნა-24

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.
1.

შენიშვნა-25

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
1.

შენიშვნა-26

სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-27

1. მოთხოვნა
არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა
არგუმენტაცია:

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?		
დიახ	☐	ვის? რომელი ენის მცოდნე?
არა	☒	

საჩივრის ფასი	—	არაქონებრივი ლარი
სახელმწიფო ბაჟი	—	150 ლარი

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან?		დიახ ☐ არა ☒
რომელი ნორმა?		
მტკიცებულება:		
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას?		დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?		
მტკიცებულება:		
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას?		დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?		
მტკიცებულება:		
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას?		დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?		
მტკიცებულება:		
შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე: 5.		

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?		
დიახ	☐	მორიგების პირობები:
არა	☒	რადგან დავის საგნიდან გამომდინარე მორიგება დაუშვებელია.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?		
დიახ	☐	
არა	☒	რადგან განსახილველი საქმე განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მოსარჩელისათვის.

შენიშვნა-32

რა დრო დაგჭირდებათ საქმის ზეპირ განხილვაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?
20 წუთზე მეტი რადგან
რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?
I სხდომაში რადგან ერთ სხდომაზე შესაძლებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი უსწორობების წარმოდგენა, გამოკვლევა და შემოწმება.

შენიშვნა-33

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?		
დიახ	☒	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-34

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?		
ძირითად მისამართზე	დროის ოპტიმალური შუალედი:	00:00 - 10:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?		
დიახ	☒	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-35

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-36 შენიშვნა-37

დანართი 1: სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი. 1 (ერთი) ფურცელი. დანართი 2: მინდობილობა 1 (ერთი) ფურცელი
ფურცლების საერთო რაოდენობა — 2 (ორი) ფურცელი

სააპელაციო საჩივრის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სააპელაციო საჩივრის ფორმალურ გამართულობას. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

		დიახ	არა
1.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სააპელაციო საჩივარი.	☒	☐
2.	მითითებულია თქვენი (აპელანტის), თქვენი (აპელანტის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	☒	☐
3.	მითითებულია თქვენი (აპელანტის), თქვენი (აპელანტის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	☒	☐
4.	მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	☒	☐
5.	მითითებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი დასახელება.	☒	☐
6.	მითითებულია, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული.	☒	☐
7.	მითითებულია სააპელაციო მოთხოვნა.	☒	☐
8.	მითითებულია სააპელაციო საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხა.	☐	☒
9.	სააპელაციო საჩივარს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	☐	☒
10.	სააპელაციო საჩივარს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	☒	☐
11.	მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.		
12.	სააპელაციო საჩივარს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სააპელაციო საჩივარი შეაქვს წარმომადგენელს).	☒	☐
13.	სააპელაციო საჩივარი ხელმოწერილია.	☒	☐
14.	სააპელაციო საჩივარი და თანდართული საბუთები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენი მონაწილეც არის საქმეში.	☒	☐

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის

სააპელაციო საჩივარი ფორმალურად გამართულია:	სააპელაციო საჩივარი ფორმალურად არაა გამართული:	*ხელმოწერა*	*სახელი და გვარი*
☐	☐ *პუნქტების ჩამონათვალი*		

ატვირთვის ბმული: http://tbappeal.court.ge/sf http://tbappeal.court.ge/sf

 შენიშვნა-38

საიდენტიფიკაციო ნომერი:

შენიშვნა-39

შენიშვნა-40 *ელ. ფოსტა:* *2nd.instance@court.ge* ☐

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"-ს აღმასრულებელი დირექტორი ნინო გუჯარაიძე	21/12/2015წ.
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი, გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

შენიშვნა-41